gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„თავისუფლება ქართველი კაცის მთავარი ღირებულებაა“

გაზეთი „ალიონი“

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი გუშინ ოზურგეთის მოსახლეობას ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე შეხვდა.. ოზურგეთის ცენტრში შეკრებილი საზოგადოების სიმრავლისა და გურულთა აქტიურობის გამო მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, თუმცა თავადაც მასპინძლად წარმოადგინა თავი და აღნიშნა, რომ გურიაში ისწავლა ორგანიზებული შრომის ფასი. გონიერება და შორსმჭვრეტელობა მოუწონა გურულებს. მისი თქმით, ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი, როცა სამშობლო განსაცდელშია: –„მუსლედავად იმისა, რა სიმდიდრის პატრონიც არ უნდა იყო, ვერ იქნები ბედნიერი, როცა სამშობლო ასეთ განსაცდელშია. ამიტომ მოვედი პოლიტიკაში. ამიტომ ვდგავარ თქვენს გვერდით. ძალა ერთობაშია, ძალა თვითოეულ ჩვენგანშია. ქართველი კაცისთვის ღირსებაა მთავარი და არა ფული. თავისუფლება ქართველი კაცის მთავარი ღირებულებაა. დღეს განსხვავებულ აზრს ებრძვის ეს ხელისუფლება. ჩვენ ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, სადაც დემოკრატია და არა ავტოკრატია იქნება მთავარი. ადვილი არ იქნება ამ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით, მაგრამ სიმართლე ჩვენს მხარესაა. არ შეიძლება ასე უჭირდეს ქართველ კაცს. საქართველოში ისეთი კლიმატური პირობებია, იმდენი მიწა და სამუშაო ძალაა, სირცხვილია უცხოურ , საეჭვო ხარისხის პროდუქტებზე ვიყოთ დამოკიდებულნი. ამას შეცვლის მილიარდიანი ინვესტიცია და სწორი პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში. ჩვენი პრიორიტეტი იქნება ასევე განათლება. ყველა სოფელს ექნება საუკეთესო სკოლა. ყველა მოსწავლეს – ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. დღეს ძალიან ბევრი ადამიანი კვდება უექიმობითა და უწამლობით. ძვირია წამლები, ძვირია ოპერაცია. მე და ჩემს გუნდს არ გვინდა დაბეჩავებული ხალხის ხელისუფლება ვიყოთ. ჩვენ ხალხს უნდა შევუქმნათ ღირსეული ცხოვრების პირობები. ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც არავის მოუწევს ლუკმა-პურისთვის სამშობლოდან გადახვეწა. გპირდებით, ყველა დანაპირებს შევასრულებთ....“

გურულებს სიტყვებით მიმართეს: ანსამბლ „ქართული ხმების“ ხელმძღვანელმა თემურ ჭკუასელმა, კინორეჟისორმა ქეთი დოლიძემ, ოზურგეთელმა პედაგოგმა ნათელა თოხაძემ, ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა ქეთი დუმბაძემ თქვა: „– შეშინებული ადამიანები ქვეყანას ვერ ააშენებენ. სიყვარული, მზე უნდა დავიბრუნოთ გულებში!“

ბიძინა ივანიშვილმა გურიის სამივე მუნიციპალიტეტის საარჩევნო ოლქებში კოალიცია ქართული ოცნების დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.: ოზურგეთიდან – ზვიად კვაჭანტირაძე – დიპლომატი; ლანჩხუთში – თემურ ჩხაიძე- ფეხბურთელი; ჩოხატაურში – თემურ ჭკუასელი.

შეხვედრაზე ბევრი ცნობილი ადამიანი იმყოფებოდა კოალიციის ლიდერთან ერთად.

თამარ ჭოხონელიძე, მომღერალი:– ძალიან მაღიზიანებს ხელისუფლების მცდელობა, ადამიანებში გამოიწვიოს ზიზღი და ერთმანეთს დაუპირისპირონ. ბნმა ბიძინამ კი მათ მოუწოდა, გაერთიანებისკენ., რადგან ორივე მხარეს საქართველოა.



ეკა ბესელია: ეს იყო ემოციური შეხვედრა. გურიაში ამას მოველოდი, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.. „ნაციონალური მოძრაობა“ საოქტომბროდ აუცილებლად დამარცხდება..

ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტის გამომწვევ შეკითხვებს პასუხი გასცა ქეთი დოლიძემ და მიმართა: „ოქტომბრის შემდეგ თუ ისურვებ, გადასარევი ჟურნალისტი გახდები, არავის მოემსახურები სიმართლის გარდა.

შეხვედრის ბოლოს ბერა ივანიშვილმა კონცერტი გამართა.

საქართველოს პრეზიდენტი ოზურგეთს სტუმრობდა

„ალიონი.“ 11 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქ. ოზურგეთში, იუსტიციის სახლში სტუდენტებს შეხვდა. ამ შეხვედრაზე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტების სტუდენტები იყვნენ მობილიზებულნი. პრეზიდენტმა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს გააცნო სტუდენტური ფასდაკლების ბარათის კონცეფცია. 2012 წლიდან ყველა ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სტუდენტური ფასდაკლების ბარათებით. ამ ბარათების მეშვეობით სტუდენტებს სხვადასხვა სახის ფასდაკლებით შეუძლიათ ისარგებლონ. მისი აღება მათ იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის ყველა ტერიტორიულ სამსახურში შეეძლებათ.

მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე სტუდენტს ფასდაკლების ბარათი გადასცა. შეხვედრას საქართველოს განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე ესწრებოდნენ.

მიხეილ სააკაშვილმა სოფ. მერიაში ახლადგახსნილი მანქანა-ტრაქტორთა პარკიც მოინახულა.

პრეზიდენტი ადგილობრივ მოსახლეობას არ შეხვედრია.

რამაზ ნიკოლაიშვილი: „მთავრობები მოდიან და მიდიან, გაკეთებული საქმე კი რჩება.“

პარასკევს, 15 ივნისს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა, სოფ. მაკვანეთში შპს „ვასაძის პურის“ მიერ აგებული საკონდიტრო საწარმო გახსნა.

ეს საწარმო შპს „ვასაძის პურმა“ კერძო ინვესტირებით გახსნა და იგი იტალიური და ჩინური თანამედროვე აპარატურით აღჭურვა. მათ 300 ათასი აშშ დოლარის ინვესტირება განახორციელეს და 40-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები დაასაქმეს. საკონდიტრო საწარმო უშვებს 60-მდე დასახელების მაღალხარისხიან ნაწარმს: სამარხვო და შოკოლადიან პროდუქციას;: შაქროვან „პეჩენიებს,“მსუბუქ ნამცხვრებს, ვაფლს, ჩიტის რძეს, გრილიაჟს და ა.შ.

რამაზ ნიკოლაიშვილმა მადლობა გადაუხადა ბიზნესმენ მერაბ ვასაძეს და აღნიშნა, რომ **„ეს არის მაგარი საქმე. როცა სოფელში ამდენ კაცს დაასაქმებ, ამაზე უკეთესი რა უნდა გააკეთო. სად არიან სხვა ბიზნესმენები? მარტო ეკლესიის თანადგომა არ კმარა. მთავრობები მოდიან და მიდიან. გაკეთებული საქმე კი რჩება.“**

რამაზ ნიკოლაიშვილი მაკვანეთლებს საავტომობილო გზის ცენტრალური მონაკვეთის ასფალტირებას შეჰპირდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

18 ივნისი ორშაბათი	19 ივნისი სამშაბათი	20 ივნისი ოთხშაბათი	21 ივნისი ხუთშაბათი	22 ივნისი პარასკევი	23 ივნისი შაბათი	24 ივნისი კვირა
წვიმა +16+24	წვიმა +16+21	წვიმა +17+23	მზე +17+24	წვიმა ღრუბელი +17+24	მზე, ღრუბელი +18+24	მზე, ღრუბელი +19+26

გაზეთი „ალიონი“

„კუნძული“ „მთავარ მიწას“ შეუერთდა

ნასაკირალელი მესხების შესახებ არაერთხელ დაწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ნასაკირალი ერთ-ერთი პირველი დასახლება იყო საქართველოში, სადაც გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რეპრიატირებული რამდენიმე ოჯახი ჩამოვიდა. ბუნებრივია, იყო ადაპტაციის გარკვეული პერიოდი, იყო პრობლემები, რომლებიც წლების მანძილზე გაგრძელდა.

„კუნძულის“ დასახლება ნასაკირალი-ბაილეთის საზღვარზე, მდ. სუფსის ხეობიდან ზემოთ, ზეგანზეა განფენილი. ამ ადგილის მთავარი პრობლემა წყალი და გზა იყო. წყლის თემა არა მარტო მესხებისათვის, არამედ ნასაკირალის მოსახლეობის 90 პროცენტისათვის იყო „აქილევსის ქუსლი.“ საქმე ის არის, რომ წყალი მდ. სუფსიდან უნდა მიეღოთ და მძლავრი მოტორებით წყლის ამოქაჩვა სერიოზულ თანხებთან იყო დაკავშირებული. წლების მანძილზე ნელ-ნელა მიიწევდა საქმე წინ. თუმცა ეს პრობლემა დღესაც ბოლომდე მოგვარებული არ არის. წყალი მხოლოდ გრაფიკით მიეწოდება ნასაკირალის ცალკეულ უბნებს.

„სოკარმა“ გაზის მთავარი მილები კი გაიყვანა ნასაკირალის ცალკეულ უბნებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით გაზი მესხთა დასახლებაში არაა შეყვანილი.

ამ რამდენიმე წლის წინ დასახლებაში ესპანური ორგანიზაცია **ASF** („მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“) შემოვიდა. მათი პროექტი მესხთა დახმარებას ითვალისწინებდა. თავდაპირველად რამდენიმე ოჯახს ფერმერული მეურნეობის მოწყობაში დაეხმარნენ და თხები შეუძინეს. შემდეგ „კუნძულის“ დასახლების პრობლემიდან გამომდინარე 700 გრძივი მეტრი 160 მმ-იანი 16 ატმოსფერო წნევის გამტარობის წყლის მილი შეუძინეს ნასაკირალელებს. ახლა კი „კუნძულის“ დასახლების გზის პრობლემას აგვარებენ. „კუნძულთან“ დამაკავშირებელი გზით დასახლებაში ჩასვლა ავტოტრანსპორტით თავისუფლად მხოლოდ ზაფხულში იყო შესაძლებელი. ამჟამად „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ ფინანსური მხარდაჭერით, დასახლებასთან დამაკავშირებელი რკინა-ბეტონის 300 მეტრამდე სიგრძის გზა გაკეთდა.

რუსტამ ბექაძე: –გზას ჩვენ ვაკეთებთ. არასამთავრობო ორგანიზაციამ 40 ტონა მაღალხარისხიანი ცემენტით, ალმატურით და „შეპენით“ მოგვამარაგა. გზის სიგანე 3 მეტია, სისქე –10 სმ, ფართობი –810 კვ. მეტრი. გზას ორთავე მხარეს უკეთდება კაპიტალური სანიაღვრე არხები, რის შემდეგ გზის სიგანე მოიმატებს. გზის მშენებლობაზე ამ დასახლების მესხები ვმუშაობთ. ძალიან კარგი საქმე გააკეთეს ესპანელებმა. ამ გზამ მთავარ დასახლებათან დაგვაკავშირა.

„მესხები“ ფერგანის ტრაგედიას იხსენებენ

რეპრიატირებული „მესხების“ მეხსიერებაში გასული საუკუნის ორი თარიღი შავი ასოებით შევიდა. 1944 წლის ის დღე, როდესაც ისინი საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან შუა აზიაში გადაასახლეს და 1989 წლის ის ავბედითი დღე, ფერგანის ტრაგედიის სახელით რომ შევიდა ისტორიაში.

ისლამ ცაცანიძე:–„1944 წელს მამა –გულდუათი 12 წლის იყო, მისი ოჯახი ადიგენის რაიონის სოფ. ღავღიდან რომ გაასახლეს თანასოფლელებთან ერთად. დღეს იქ მხოლოდ ეკლესიის ნანგრევები და ნასახლარებია შემორჩენილი.

1957 წელს გადასახლების ადგილას, სამარყანდში დავიბადე. 1958 წელს გადასახლებულებს უფლება მიეცათ გადასახლების ადგილი დაეტოვებინათ, თუმც საქართველოში დაბრუნება არ შეეძლოთ. მამამ, იმ მოტივით, რომ საქართველოსთან უფრო ახლოს ვიქნებოდით, ოჯახი აზერბაიჯანში წამოიყვანა. საატლის რაიონში, თავისუფალ ტერიტორიაზე დავსახლდით. დასახლებას ადიგენი დავარქვით. სხვა დასახლებებსაც ქართული სახელები უწოდეს: ფლატე, საირმე და ა.შ. კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. ახალ ადიგენში 1000 ოჯახი ცხოვრობდა. სკოლა იქ დავამთავრე. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რამდენიმე ოჯახს ეღირსა საქართველოში ჩამოსვლა. მათ რიცხვში მეც მოვხვდი.

1989 წლის ფერგანის ტრაგედია რომ დატრიალდა, ათასობით სიკვდილს გადარჩენილი ლტოლვილი მოაწყდა აზერბაიჯანს, სხვა ადგილებს. 100 სული ლტოლვილი მარტო მამაჩემთან იყო სახლში შეხიზნული...

ყოველთვის ვფიქრობ, რას ნიშნავს „თურქი მესხი?“ ჩემმა წინაპრებმა შეინარჩუნეს ქართული გვარი, გადმოგვცეს საქართველოს სიყვარული. მაჰმადიანი ქართველები ვართ, მესხეთიდან, მძიმე ისტორიაგამოვლილები. ნასაკირალში ასევე მაჰმადიან მეზობლებთან-აჭარლებთან ერთად ვცხოვრობთ, ვშრომობთ, დავდივართ სალოცავში. ახლა აგერ მათთან ერთად ბეტონის გზას ვაკეთებთ და ჩვენს დასახლებას „კუნძული“ მხოლოდ სიმბოლურ სახელად დარჩება.

„თურქეთში წანწალს ჩემს ქვეყანაში მუშაობა მირჩევნია“

–ნასაკირალის მე-4 რაიონში, რომელსაც „აჭარის დასახლებასაც“ უწოდებენ, ძირითადად ირემაძეები, ანთაძეები, ბერიძეები, ქათამაძეები და ჭელიძეები ცხოვრობთ. ეს ხალხი ძირითადად გურიის მაღალმთიან სოფელ ზოტიდან არიან ჩამოსახლებულები. როცა მეურნეობა იყო ავად თუ კარგად ჩაის ვკრეფდით და თავი გაგვქონდა. ახლა გასაქანი არსაითაა– გვიყვება ნასაკირალელი ზურაბ ირემაძე. ადგილზე კარტოფილი მოგვყავს, მაგრამ რად გინდა, ჩვენი ბაზარი დაუცველია. იაფად შემოდის თურქეთიდან, ეგვიპტიდან კარტოფილი. ამის გარდა ადგილობრივი გადამყიდველები ავიწროებენ გლეხკაცს–ბაზარში ვერ შევდივართ და იძულებული ვართ ქორვაჭრებს ნახევარ ფასში დავუთმოთ ჩვენი თავნაკლავი. რამდენი მოვლა და წამლობა უნდა მის მოყვანას?

ოჯახი რომ არჩინონ, ახალგაზრდები ზაფხულობით თურქეთშია გადახვეწილი. ჩაის კრეფენ. ანაზღაურებას კი ღებულობენ, მაგრამ როგორი შრომაა იქ საჭირო. დილით ადრიანად ჯერ ჩაის პლანტაცია უნდა გაწმინდო სარეველებისაგან, შემდეგ მოკრიფო და კლდოვანი ფერდობებიდან მიმღებთან მიზიდო. შემდეგ ღამით მანქანას უნდა დაელოდო და მიტანილი ნედლეული დატვირთო. ამას წინათ, ძილ-ბურანში მყოფი ახალგაზრდა ბიჭი მანქანიდან გადმოვარდა და დაიღუპა. ეს პირველი შემთხვევა არ არის თურქეთში.

თუკი თურქეთის ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობს მის ქვეყანაში მეჩაიეობის დარგის განვითარებას, რა ხდება ჩვენთან, რატომ დაივიწყეს სოფლის მეურნეობა? თურქი კლდიან ადგილეზე აშენებს ახალ პლანტაციებს, ჩვენთან კი– თხრიან. თურქეთში მიწოდებული ქართული ელექტროენერგიის საფასური ორჯერ იაფია, ვიდრე ჩვენთან..

ნასაკირალში, საკარმიდამო ნაკვეთზე ციტრუსი მაქვს გაშენებული. რამდენი წამლობაა საჭირო, რომ მოსავალი მიიღო. 28 ლარის ციტრუსი გავყიდე, დანარჩენი გადავყარე. იძულებული ვარ ციტრუსი მოვჭრა და სხვა კულტურა გავაშენო. ყველაზე შედეგიანი ჩაის პლანტაციაა, ამაში თურქეთში დავრწმუნდი, მაგრამ ვის უნდა ჩვენთან ჩაი?!

გზა გვინდა მოწესრიგებული, წყალი გვინდა, გაზი გვინდა– ეს რომ გექნება სამუშაოსთან ერთად, სრულფასოვან მოქალაქედ

სოციალური თემა ნასაკირალელებსაც აწუხებთ

ამ დაბაში ყოფნისას, განსაკუთრებულად სოციალური პრობლემების მოძალება შევნიშნეთ.

„მესხების დასახლებაში“, რუსტამ ბექაძის ოჯახში სტუმრობისას, პატარა ბავშვები საქანელათი ირთობდნენ თავს. ყველა მხიარულობდა, მხოლოდ 4 წლის ლარა ბექაძე იყო მოწყენილი. ნაკლებად კონტაქტობდა ბავშვებთან.

– ლარას დაბადებიდან აქვს სერიოზული პრობლემები. ორი ოპერაცია გავუკეთეთ ფეხზე იაშვილის კლინიკაში. საკმაოდ დიდი თანხა გადავიხადეთ, მაგრამ შედეგი ძალიან მცირეა. კლინიკაში ქალბატონი სანდრა იმყოფებოდა და ლარას ბედით დაინტერესდა. სავიზიტო ბარათი გადმოგვცა. სამწუხაროდ მასთან დაკონტაქტება ვერ შევძელით...

„აჭარის დასახლებაში“ ბევრს აქვს სოციალური პრობლემა, მაგრამ აქაურებმა განსაკუთრებულად ეხსან ირემაძის და ისმაილ ტუნაძის ოჯახები დაგვისახელეს.

–ვერ წარმოიდგენთ როგორ პირობებში ცხოვრობს ეხსანის ოჯახი. შვილი 32 წლის ასაკში გარდაეცვალა. რძალი ავადმყოფია, ორ შვილიშვილს ზრდის. ცუდი საბინაო პირობები აქვთ. რატომ მოუხსნეს სოციალური დახმარება გაურკვეველია. თუ ეხსანს არ ეკუთვნის, მაშინ სხვები როგორ მიიღებენ.

ისმაილ ტუნაძე... ავადმყოფი კაცია. მის კმაყოფაზეა მეუღლე, ორი ბავშვი. ჭერი არ აქვს და გაწყობილი ოთახი. დრეფანში ცხოვრობენ. არიან ისეთები, რომლებსაც სახლი აქვთ, მანქანაც, ძროხაც ჰყავს და ღებულობენ სოციალურს. რა პრინციპით აძლევენ დახმარებას?

იმ დღეს „აჭარის დასახლებაში“ ხელისუფლება მოვიდა. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით დვალიძე, გურიის გუბერნატორის მოადგილე თამაზ მახარაძე, სოციალური სამსახურის ადგილობრივი ხელმძღვანელები მე-4 რაიონის ცენტრში შეკრებილ მოსახლეობას შეხვდნენ.

დავით დვალიძე მოსახლეობას სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ პროგრამებზე ესაუბრა, სადაზღვევო სისტემით სარგებლობა ურჩია.

–ჩვენს სატკივარს დაბის რწმუნებულს ტარიელ ანთაძეს ვეუბნებით. რა ქნას მან, თუკი ზემოდან მხარდაჭერა არ ექნა? -აღნიშნეს ნასაკირალელებმა.

„ამათ უნდა გაასინჯო „ჩორბა“ და იქნებ მიხვდნენ რა სჭირს ქართველ გლეხს“

ანასეულში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მოსვლამდე ერთ აქაურ ქალბატონ გუგული ზოიძეს ვესაუბრეთ.

–ჩვენ მთავრობას თუ წარმოუდგენია როგორ მდგომარეობაშია ქართველი გლეხობა, რა ფიზიკური შრომის შედეგად უხდებათ ოჯახის შესანახად ლუკმა პურის მოპოვება.

ჩემს შვილთან ერთად ახლახან ფაზარის რაიონში ვკრეფდით ჩაის ფოთოლს. ყოველგვარ ამინდში ვმუშაობდით. სეტყვა რომ დაიწყო, ზოგს შეეშინდა, მაგრამ თურქმა მეპატრონემ მუშაობის გაგრძელების ბრძანება გასცა. მაინც როგორ კლდეებზე აქვთ ჩაის პლანტაციები გაშენებული? დილის 6 საათიდან შუაღამემდე უნდა იმუშაო. ანაზღაურება არ იყო ცუდი, მაგრამ ზოგს ამდენი ჯაფისაგან გალახულს ჩამოტანილი თანხა სამკურნალოდ არ ყოფნის.

სარდაფში გვძინავდა. ყველაზე საშინელი მაინც „ჩორბაა.“ ამ სალაფავს რატომ დაარქვეს საჭმელი, მიკვირს. რაღაც „ქაქიეა,“ ზოგჯერ ლობიოს მარცვალი შეგხვდება და გაგიხარდება. ორჯერ უარი ვთქვი ამ საშინელების ჭამაზე, მაგრამ მშიერმა ჩაი ვერ მოვკრიფე და იძულებული გავხდი ბედს დავმორჩილებოდი.

მონების დონეზე დაგვიყვანეს, ასე ცხოვრება არ შეიძლება–თქვა გუგული ზოიძემ.

სერიალი- „ამერიკული პეპელა“-ას ახალი სეზონი გურიაში.

თემურ ბაქანიძე

„ღირშესანიშნავი“ ივნისის თვე... გურია... ადრე ეს თვე, იმით იყო „მახსოვრობადი“, რომ მის დადგომამდე იყო მაისი-ახალ მოსტუმრებული ყვავილებითა და ულამაზესი ბუნების პეიზაჟებით; ადრეული ალუჩითა და „კახაბლებით“... მის შემეგ კი, დგებოდა ივლისი-ცნობილი პეტრე-პავლობითა და ისიც ცნობილი „დროული“ ვაშლებისა და მსხლის სხვა და სხვა ჯიშების ნაყოფთა მოსტუმრებით; ხალხისგან ახმაურებული ზღვის სანაპიროთი და გრძელი-მტანჯველი ზამთრისგან გურულების მოწყენილი სახეების გამხიარულებით. თვითონ ივნისი კი, იყო წყნარი, ჩუმი თვე...

საქართველო გახდა მხარე, სადაც ყველა და ყველაფერი უცებ და გაურკვეველი მიმართულებით იცვლება. რუსეთთან დამოკიდებულებაში „ულეტაიტე ვორონი“-ს შემდეგ, „ბატერფლიეს ქამე ფრომ ამერიკა“ დაგვემართა, რაც ქართულად „ამერიკიდან მოფრენილ პეპლებს“ ნიშნავს. ამ, ავად სახსენებელმა პეპლის სახეობამ, საშინლად შეცვალა ამ დროისათვის ულამაზესი გურიის სახე და შესაბამისად ეს, როგორც ყოველთვის, ისედაც „წაქცეული“ და ფიქრად ქცეული გურული გლეხის სახეზე აისახა.

არ დავიწყებ იმის ჩამოთვლას, თუ რა გამანადგურებელი ზიანი მოაქვს ამ პარაზიტებს იმ მცენარეებისთვის, რომელიც ალამაზებს საქართველოს ამ კუთხეს. არ ჩამოვთვლი იმიტომ, რომ ის ჩანს და მას ყველა ვხედავთ. ეს პრობლემის ისეთი სახეა, რომლის დამალვა არ შეიძლება; სურათი ასეთია: მატლებიდან გახრული მცენარეები; გაშიშვლებული ფოთლოვანები; ცოცხალი-მწვანე ფერის მაგიერ გამეფებული მოყავისფრო, მოწითალო-მკვდარი ფერი...

არ ვიცი ვის ეწყინება ჩემი სიტყვები და ვის არა, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას. ჩვენი გაზეთი ამ სტატიით, არც მთავრობას ემიჯნება და არც ოპოზიციას „ეხუტება“, არა ვართ პოლიტიზირებულები, მაგრამ არც ბრმები ვართ. ჩვენი მიზანი ხალხის სამსახურია, იმ ხალხის, რომელიც უძლურია ინდივიდუალურად ებრძოლოს ამ საშინელებას, მათ ინივიდუალურად მხოლოდ მოწყენა და ცრემლიანი თვალებით შეუძლიათ უყურონ იმას, თუ, როგორ ნადგურდება მის კარმიდამოში სიცოცხლე და სილამაზე.

თუ არ ვცდები, ჩვენ ის სახელმწიფო ვართ, რომელსაც პრეტენზიები აქვს „ნატო“-ში შესვლაზე... კარგით რა, გეყოთ, ნუ დაგვიკარგეთ „ნატო“-ზე წარმოდგენა...ბარე 10 წელია „ტანზე დასეული“ მატლებისთვის ვერ გვიპატრონებია და ამერიკულ ეფ-16 ვუპატრონებთ?

ბრძოლა ამ საქმის გადაწყვეტაში, არა ეფექტურია. უბრალო მაგალითი- შეწამვლა ხდება ორი სახის ტექნიკით:

პირველი- ავტომობილებით სატრანსპორტო გზის გავლით, რომლის დროს, ავტომობილი დადის და „აფუტებს“ წამალს, რომელიც „ვითომ-ვითომ“ სამასი მეტრის სიშორეზე ანადგურებს პარაზიტებს...ეს ვერსია მართლაც „ვითომ-ვითომაა“, „მართლა-მართლა“ კი, შეწამვლის შემდეგ, ას მეტრშიც აგრძელებდნენ პარაზიტები თავისი წილი საქართველოს ხვრას. დავუშვათ და მართლაც მოქმედებს სამასი მეტრის რადიუსში. არის ადგილები, თანაც მრავლად, სადაც დაშორება გზიდან-გზამდე კილომეტრი და მეტიცაა. სამასი მეტრი ერთი მხრიდან, სამასი მეორედანაც-ექვსასი მეტრია-ოთხასი კი უპატრონოდ გვრჩება. უნდა შეგახსენოთ, რომ ეს უკეთესს შემთხვევაში, სინამდვილეში კი განწირულ ტერიტორიას შვიდას მეტრზე მეტი ადგილი შეადგენს. იყოს ოთხასი... ეს, თუ არ ვცდები 100-დან 40 %-ია-თითქმის ნახევარი. რა დავარქვათ ამ „თითქმის ნახევარს", რომელსაც სინამდვილეში, „ვითომ“ გადარჩენილი მეორე ნახევრის-ნახევარიც ეკუთვნის? განწირული საქართველო? თუ, დაკარგული საქართველო, რომელსაც აგვისტოსა და რუსეთის გარეშე ვკარგავთ?

მეორე მეთოდი, რომელიც ნამდვილად ეფექტური იქნებოდა-შეწამვლა ჰაერიდან, რატომღაც არც კი იხსენიება მთავრობისგან. თუკი ხანძრების შემთხვევაში ვპოულობთ ვერტმფრენებს მათ ჩასაქრობად, ეს შემთხვევა რა, ნაკლებად საშიში და საგანგაშოა? რა მნიშვნელი აქვს ხის ტოტს ცეცხლი გააშიშვლებს, თუ მატლი?

რუსები- „ულეტელი ვორონი ნა ვსე ჩეტირე სტორონი“ და ვერც და არც დაგვეხმარება, საამისო მიზეზები მათაც გააჩნიათ და ჩვენც, მაგრამ ამერიკა? ბედის ირონიაა, ეს პარაზიტებიც ამერიკულებია, მათი თანამემამულეები თუ არა, „თანაკონტინენტალები“ მაინც... როცა იმ დროს მოვესწარით, რომ ყანებს ველარ ვთესავთ, ნუ გაუკვირდება ნურავის, რომ ამ მფრინავ პარაზიტებთან ბრძოლის უნარით ჩვენ ვერ დავიკვეხნით. ჩვენ „მიწაზე-ცხვირწინ პრობლემას“ ვერ ვეპატრონეთ და „25 მეტრი სიმაღლეზე მოკალათებულ“ პრობლემას ნამდვილად ვერ ვეპატრონებით. ამ პრობლემას სხვათაშორის, ვერც მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმაც ვერ მოუღებს ბოლოს, თუნდაც მათი შეგირდები ფრიადზე ასრულებდნენ მას...რატომ? იმიტომ, რომ მანქანა-ტრაქტორებით, რომელთა რაოდენობაც მიზერულია და მიზერულია შხამქიმიკატებიც, საკმარისი რომც იყოს, თუ ვერტმფრენები არ ჩართეს გეგმაში, როგორ უნდა შეწამლონ ტყის მასივები, სადაც სამანქანე გზები არც არის და რომც იყოს, მაღალ ხეებს ვერ შეწამლავენ-მათი ტექნიკა მაქსიმუმ 8 მეტრის სიმაღლეზე არის ბრძოლის უნარიანი. ტყის მასივებს თავი დავანებოთ, ყველა ოზურგეთელის ოჯახში მოიპოვება 3 ან 10 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხილის სახეობა (ბალი, მსხალი, ვაშლი, ნიგოზი), რომლის სიმაღლე არ იძლევა არავითარ შანს, პარაზიტების მოსპობისა...ასეა ეს... ვერ „ვქაჩავთ“ თოხს და გვჭირდება ვერტმფრენი... მოკლედ, არაა გლეხის საშველი-უბედური გლეხის, რომელსაც ამ პრობლემის მოსაგვარებლად კვლავ მთავრობა, მექანიზატორები და საწვავი ჭირდება-შხამქიმიკატებთან ერთად.

ღიმილს მგვრის 4-5 წლის წინანდელი „სწავლებანი გლეხისა უბედურისა“, როცა ტელევიზიითა და პრესის საშუალებით ასწავლიდნენ მოსახლეობას, რომ „მატლების შენიშვნის შემთხვევაში, ის ტოტი უნდა დაგვეწვა, ან მოგვეტეხა და ფეხით გაგვესრისა“...ეს მეთოდი ისეთი „ეფექტური“ დარჩა, რომ იგივე მეთოდით დღესაც, რომ ვებრძოლოთ ამ ავად სახსენებლებს, ან უნდა გადავწვათ მთელი საქართველო, ან კიდევ „გასრესის“ შემთხვევაში, მთელი საქართველო „ტვისტის“ ცეკვაში უნდა ჩავრთოთ და დიდი ხნითაც.

<u>ვერ მივმხდარვარ ქართველი „საქმოსნებისა“, რომლებიც თხილის ბიზნესით, როგორც გურულები იტყვიან: „გატკლეცაზე“ არიან მისულები. დავიჯერო მათ ინტერესში არ შედის ეპატრონოს გლეხმა თხილის ნარგავებს? მათ ფულებს ხომ საერთოდ არ დაეტყობა ამერიკიდან მოფრენილი „საქართველოს მჭამებლების განადგურება?“</u>

ვერ გამიგია იმ ბიზნესმენების, რომლებიც ათეულ და ასეულ მილიონიან სასტუმროებს აშენებენ ჩვენს ტერიტორიებზე-ზღვის სანაპიროებზე. თუ ის სილამაზე, რისთვისაც სტუმრები უნდა ჩამოვიდნენ აქ, მატლებმა შეჭამეს, რად უნდათ ეს სასტუმროები?..ალბათ ამერიკიდან მოფრენილ „ამერიკულ პეპლებს“ უშენებენ.

გაზეთ „ალიონს“ უნდოდა გაერკვია, თუ რა ხდება ჩვენთან-ოზურგეთში შესაბამის სამსახურებში ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, მაგრამ როგორც ვთქვით, ეს ისეთი პრობლემაა, რომლის აღმოფხვრაც ჩანს და არ-აღმოფხვრაც და ჩვენც თავი შევიკავეთ ვინმესთვის უხერხული კითხვები არ დაგვესვა...

ზოგი ვერ შვრება, ზოგს უფლება არა აქვს... გაფრინდნენ ყვავები-მოფრინდნენ პეპლები..ჩვენ კი, ადგილზევე ვრჩებით-გურულები, რომლებსაც ზედმეტად არც „მეზღაპრეების გვჯერა და არც მეოცნებეების“-ჩვენ უფრო რეალისტები ვართ, დაგვეხმარეთ და დავინახავთ.

ნიკოლაიშვილის ფარული შეხვედრები

პრეზიდენტის ოზურგეთში სტუმრობის მეორე დღეს ოზურგეთის კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ ერთმა ლიდერმა, თემურ სალუქვაძემ ჟურნალისტები ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიიწვია და განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, პრეზიდენტის სტუმრობის დღეს რამაზ ნიკოლაიშვილმა ფარული შეხვედრები გამართა ადილობრივ ხელისუფლებასთან.

თემურ სალუქვაძე: „გაიმართა რამაზ ნიკოლაიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელების ფარული შეხვედრა. შეხვედრაზე რამაზ ნიკოლაიშვილმა უთხრა ადგილობრივ ხელისუფლებას „თუკი ქუთაისის სიტუაცია განმეორდებოდა გურიაში აქ ვერავინ თავის ადგილზე ვერ გაჩერდებაო"

სიცრუე და ცილისწამება კოალიცია „ქართული ოცნების" ყოველდღიურობა ხდება

დღეს ადგილობრივი მედიასაშუალებებით გავრცელდა კოალიცია „ ქართული ოცნების ერთ-ერთი ლიდერის, თემურ სალუქვაძის განცხადება 17 ივნისს ოზურგეთში კოალიციის მიერ დაგეგმილ მიტინგთან დაკავშირებით. სალუქვაძემ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის გუშინდელი ვიზიტი ოზურგეთში, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა სტუდენტებისთვის შეღავათების სისტემის შემოღებაზე ახალი ინიციატივები გააჟღერა, კოალიცია „ქართული ოცნების" მომავალი მიტინგის „ გასანეიტრალებლად" მოფიქრებულ აქციად მონათლა,რომლის „არსი მან ვერ გაიგო".

ამავდროულად, სალუქვაძემ ადგილობრივი ხელისუფლება წინასწარ მიტინგის ხელშეშლის მცდელობასა და მოსახლეობის დაშინებაშიც დაადანაშაულა. მისი თქმით, ამ მიტინგის ჩატარებაზე ადგილობრივი ხელისუფლების ყოფნა-არყოფნა იქნება დამოკიდებული. ამ მოსაზრებას ბატონი სალუქვაძე, იმ „ფაქტით" ამყარებს,რომ თურმე გუშინ გამგეობაში გამართულა ფარული შეხვედრა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, რამაზ ნიკოლაიშვილთან. სალუქვაძე ამ შეხვედრის დეტალებსაც აზუსტებს და საზოგადოებას „უმხელს" რომ, ნიკოლაიშვილმა განაცხადა, თუკი აქ ქუთაისის მსგავსი განმეორდება,არავინ ადგილზე არ გაჩერდებაო.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის რეგიონებში სტუმრობა, ახალი ინიციატივების მოსახლეობისთვის უშუალოდ მიწოდება, ხალხთან შეხვედრები მისი ცხოვრების წესი და ყოველდღიურობაა. მსგავსი ინიციატივები და აქტივობები კი საბოლოო ჯამში ერთ მიზანს ემსახურება - ხელისუფლებამ ზუსტად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას. ესაა ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, საპენსიო უზრუნველყოფა, ჯანდაცვის ხარისხიანობა და ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელება.

რაც შეეხება ფარულ შეხვედრებს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არათუ მსგავსი ხასიათის შეხვედრა არ გამართულა, არამედ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ბატონი რამაზ ნიკოლაიშვილი გუშინ საერთოდ არ ყოფილა გურიაში,ის თან არ ახლდა საქართველოს პრეზიდენტს და ეს ყველამ დაინახა. ხოლო სად იყო, ამის დადგენა დაინტერეებულთათვის ძალზედ იოლი იქნება.

ჩვენ მოვუწოდებთ „ქართულ ოცნებას", მეტი სერიოზულობით შეხედოს მსგავსი ტიპის განცხადებებს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი გამოგონილი ამბების ტირაჟირება მათი მხრიდან წინასწარ ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს წააგავს. მეტიც, საზოგადოებამ შეიძლება მასში გურიაში დაანონსებული ხალხმრავალი მიტინგის წარუმატებლობისთვის წინასწარი პრევენციაც დაინახოს. თუმცა მსგავსი მიზანიც კი აპრიორი არ ათავისუფლებს ნებისმიერ ადამიანს და მით უფრო პოლიტიკურ ძალას იმ ვალდებულებისგან, რასაც ტყუილსა და ცილისწამებაზე უარის თქმა ქვია.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაცია

თავისუფალი საქართველოს“ ადგილობრივი ორგანიზაციის პრესკონფერენცია

თავისუფალი საქართველოს ადგილობრივი ორგანიზაცია მოუწოდებს ხელისუფლება დროულად გაატაროს ღონისძიება ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ.

ამის შესახებ პარტიის ადგილობრივმა ლიდერმა, მინდია კეჭაყმაძემ განაცხადა. „ადგილობრივი ხელისუფლება არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით. მართალია თანხები გამოიყო ბიუჯეტიდან, მაგრამ არამიზნობრივად იხარჯება. საქმეს მოვალეობის მოხდის მიზნით, უხარისხოდ აკეთებენ," თქვა კეჭაყმაძემ.

პერკონფერენცია გასულ კვირას პარტიის ოზურგეთის ოფისში გაიმართა.

„ქართული ოცნების“ ცნობილი სახეები მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავდნენ.

გასულ კვირას „ქართული ოცნების“ ცნობილი სახეები ქ. ოზურგეთის ცალკეულ უბნებში, დაბებსა და სოფლებში შეხვედრებს მართავდნენ. რობერტ სტურუა, კახი კალაძე, მურთაზ ხურცილავა, მანანა კობახიძე, ქეთი დოლიძე, ნინელი ჭანკვეტაძე, ვანსულ ჩარკვიანი და სხვა არაერთი ცნობილი პიროვნება მოსახლეობას მათი მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე ესაუბრებოდნენ და 17 ივნისს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე მისვლას მოუწოდებდნენ.

არც ხელისუფლება იყო გულხელდაკრეფილი. საჯარო მოხელეები მიტინგზე მიმავალ მოქალაქეებს აფიქსირებდნენ, იღებდნენ, აკითხავდნენ ოჯახებში. იმათ კი, ვისაც ოჯახის წევრი ან ახლობელი ჰყავთ საჯარო სამსახურში, მათ სამსახურიდან გათავისუფლებით აშინებდნენ, – განაცხადეს შეხვედრაზე საჯარო მოხელების აქტივობა მეტ-ნაკლები იყო. უფრო „წინდახედულები“ ბიძინა ივანიშვილის ოფისთან გავლისას მაღლა წევდნენ ხელს და „თქვენთანაც ვარო“ ანიშნებდნენ...

სემინარი ფერმერებისა და გლეხებისთვის

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის" ორგანიზებით 13 ივნისს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სემინარი ჩატარდა. სემინარის თემა იყო: „სასოფლო სამეურნეო კულტურების განოყიერების კლასიკური და ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზები ფერმერულ მეურნობებში".

სემინარს რამდენიმე მომხსენებელი ჰყავდა.

რეზო შავიშვილი (შპს „ცეო-ტორფის" ტექნოლოგი)-„ადგილობრივი ორგანო-მინერალური სასუქები".

აკაკი ღლონტი (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ცენტრის მთავარი სპეციალისტი)-„მინერალური სასუქების შეტანის ვადების და დოზების გავლენა მოსავლიანობასა და ხარისხზე".

დათო გეგეჭკორი (ბიო ორგანიკ ჯორჯიას" ტექნიკური დირექტორი)-„თხევადი ორგანული სასუქის „ორგანიკას" გამოყენების პერსპექტივები ფერმერულ მეურნეობებში".

სემინარს ასევე ესწრებოდა დათო ჩაჩანიძე ექიმი-ჰომეოპატი, თხევადი ორგანული სასუქის „ორგანიკას" შექმნელი.

„მე მიყვარს ჩემი საქართველო“

12 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის პარკის წინ მოეწყო სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ხატვის კონკურსი თემაზე „მე მიყვარს ჩემი საქართველო.“ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საბავშვო თეატრის ზღაპრის გმირები: ნაცარქექია, დევი, წითელქუდა..

შემდეგ კულტურის პარკის ამფითეატრის კედლებზე ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, ხოლო თავად ამფითეატრში იმპროვიზებული კონცერტი.

ამ ღონისძიების ინიციატორი მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური იყო, რომელმაც გამარჯვებული ბავშვები სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა

ოზურგეთში ცოფით დაავადებულ საქონლის ხორცს ჰყიდიან?

გაზეთ „ალიონს“ როგორც სანდო წყარომ აცნობა, გათამამებულები შესაბამისი სამსახურების უყურადღებობით, ოზურგეთის ხორცის რამდენიმე სავაჭროში მაის-ივნისში რამდენიმე ცოფის ვირუსით დაინფიცირებული საქონლის ხორცი გაიყიდა. ორ შემთხვევაში საქონლის მეპატრონემ და ყასბებმა (გურიანთა, ანასეული) იცოდნენ საქონლის დაავადების შესახებ. სოფ. დვაბზუს შემთხვევაში კი საქონილს ცოფით დაავადების შესახებ, ხორცის რეალიზაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ხბოს სიკვდილის შემდეგ დარწმუნდნენ.

პენსიის რიგში ქალბატონი გარდაიცვალა

15 ივნისს, დილით, „ლიბერთი ბანკში“ პენსიის ასაღებად იყო მისული მელექედურელი ქალბატონი ე. ქ.-ი, რომელიც იქ ცუდად შეიქმნა და ადგილზე გარდაიცვალა.

გურულების გამოფენა მოწონებას იმსახურებს

თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზში 8 მაისს გურიის რეგიონის მხატვართა საგაზაფხულო გამოფენა გაიხსნა, რომელმაც ფოთელების დიდი ინტერესი გამოიწვია.

გამოფენა გახსნა დარბაზის უფროსმა სპეციალისტმა გია გვიჩიამ. შეკრებილ საზოგადოებას, სტუმრებს მიესალმნენ ქ. ფოთის მერი ვახტანგ ლემონჯავა, კულტურის სამსახურის უფროსი ლელა კემულარია, გურიის ვიუბერნატორის მოადგილე ლელა თავართქილაძე, გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩია და სამხატვრო გალერეის დირექტორი ავთანდილ თავართქილაძე.

გურული მხატვრები ქ. ფოთის საზოგადოებას ხელოვნების ყველა დარგში წარუდგნენ: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, გობელენი და ა.შ.

გურიიდან (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) გამოფენაში მონაწილეობენ: მზია კვინტრაძე, ოთარ ჩხარტიშვილი, ავთანდილ თავართქილაძე, თამაზ და გია დარჩიები, რევაზ ჯაში, ვახტანგ მამეშვილი, ქრისტინა მამეშვილი, ნატო ყალიჩავა, ნინო კეკენაძე, თენგიზ დარჩია, შორენა კიკუტაძე, გიორგი მკოიანი, თენგიზ ბერსენაძე, მიშა კვერენჩხილაე, თემურ მეგრელიშვილი, მაია გოგოტიშვილი, მაია თავამაიშვილი, ნატო სიმონია, მარინა როყვა, ვაჟა დუმბაძე, თემურ ბერძენიშვილი, ლელა ბასილია, ვაჟა დუმბაძე, ქეთევან კუკულავა, ნანა ჭანუყვაძე.

2005 წელს ოზურგეთის სამხატვრო გალერეამ მოაწყო ადგილობრივი მხატვრების გამოფენა ფოთში. ამჟამად კი–გურიის მხატვართა კავშირმა ეს გამოფენა რეგიონის მასშტაბით მოაწყო.

ფოთელებს იმდენად მოეწონათ გამოფენა, რომ იგი ივნისის ბოლომდე გაგრძელდება.

„ჩვენ გვაქვს ჩვენი სახლი, სადაც ერთმანეთით ვცხოვრობთ“

ნინო ნიკოლაიშვილი

სახლი, სადაც ერთმანეთით ცხოვრობენ, სადაც ერთმანეთისთვის ზრუნვას სწავლობენ, ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების პირთა რეაბილიტაციის ბენეფიციარებს ეკუთვნით. ამ ადამიანებმა 14 ივნისს შშმ პირთა უფლებების დაცვის დღეს, კიდევ ერთხელ აჩვენეს საზოგადოებას, „რამ შემქმნა ადამიანად“... და რომ ადამიანად ქმნილნი სიყვარულით სიყვარულის წილ თუ იცხოვრებენ წუთისოფელში, ღამეს დღეც გაათენებს და სიძულვილით დანგრეულს სიყვარული ააშენებს.

ოზურგეთის თეატრში გამართული ღონისძიების დასაწყისში, რომელიც მომზადდა თამარ დუმბაძის პროექტით, ნაჩვენები იქნა მათი ცხოვრების ამსახველი ფილმი. შემდეგ ლიტერატურულ-მუსიკალური მონო სპექტაკლი „სიცოცხლე მშვენიერია“ სიყვარულს მიეძღვნა... მეორე ნაწილის მეგზურიც სიყვარული გახლდათ, რადგან არარა არსებობს ქვეყნად ღირებული, არც ნამღერი და არც რა სიკეთე კეთებული, გულის გულიდან თუ არ მოედინება და გულის გულშივე არ პოულობს ადგილს. ამ დიდი გრძნობით იდგნენ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ცენტრის აღსაზრდელები. რომელთა საუკეთესო ნომრებს დიდი ოვაციებით ხვდებოდა მაყურებელი. მათთან ერთად მონაწილეობდა მთისპირელი თამუნა შავაძე. იმ დღეს აქ სტუმრად იმყოფებოდნენ ქუთაისისა და ზესტაფონის ცენტრთა ხელმძღვანელები, ბენეფიციარები და მათი მეგობრები.. წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „როგორია იმერეთი...“

ღონისძიების მონაწილენი და მაყურებლები დალოცა შემოქმედელმა მიტრეოპოლიტმა მეუფე იოსებმა და თანადგომისაკენ მოუწოდა დარბაზს. ღონისძიებას ესწრებოდა რამაზ ნიკოლაიშვილი, რომლის ნაჩუქარი მანქანით დათუნა ჟღენტი პერიოდულად კვეთდა თეატრის სცენას.

არ დაუშურებიათ სამადლობელი სიტყვები იმ ადამიანთათვის, რომლებიც გვერდით უდგანან ცენტრის ბენეფიციარებს.

ემოციებს ვერარ მალავდა შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი ბ-ნი რომან ლომაძე, რომლის ღვაწლზე ბევრი ისაუბრეს და კიდევ უფრო მეტი შეიძლება ითქვას.

მაია თანდილაშვილი, ოზურგეთის კულტურის სამსახურის უფროსი: – ემოციით დატვირთული დღეა. აქ ბევრი რამ რომანის დამსახურებაა. კარგია, რომ ასეთი თანადგომა არსებობს, ამ ადამიანებს კიდევ უფრო მეტი ესაჭიროებათ.

თუ თქვენ გსურთ უძრავი და მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება ან დაგირავება, იურიდიული დოკუმენტების მომზადება, გაფორმება და სხვა მომსახურება, მიმართეთ სამაჯიანო ფირმა **„ზენიტს.“**

„ზენიტი“ დაინტერესებული პირებს დაეხმარება საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში არა მარტო საქართველოში, არამედ აშშ-ში, ინგლისში, გერმანიაში, უკრაინაში და რუსეთში.

მობრძანდით, ჩვენი მომსახურება ტქვენთვის ხელსაყრელი იქნება.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, წულაძის ქ. №3 (II სართული, მაღაზია „ვესტელის“ თავზე).

გოჩა ცაგარეიშვილის ხსოვნის თასი ფრენბურთში

სპორტის განვითარების ცენტრის ორგანიზებით ერთ კვირას მიმდინარეობდა ოზურგეთის სპორტის სასახლეში ტრაგიკულად დაღუპული, ნარუჯის სკოლის დირექტორის, გოჩა ცაგარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა.

ტურნირის ფავორიტი სოფ. ვაკიჯვრის გუნდი გახლდათ, რომელმაც ნახევარფინალში ზვანის გუნდი დაამარცხა, ხოლო ფინალში– გრიშაშვილის ქუჩის გუნდი. ვაკიჯვრელებს გადაეცათ სპორტის განვითარების ცენტრის მიერ დაწესებული თასი და დიპლომი. გამარჯვებულ გუნდს ჯილდო გოჩა ცაგარეიშვილის ვაჟმა გადასცა.

უახლოესი მეგობრები ეთერ ქადეიშვილი, გულსუნდა მახარაძე, გულიკო ლომინაძე, ზაირა გოგიბერიძე, როზა გოგუაძე, როლანდ თავაძე უსაზღვრო გულისტკივილით იუწყებიან ჟურნალისტ **ზაირა ბილიხოძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ნათესავებსა და უახლოესებს.

როზა გოგუაძე, იამზე ქილიფთარი, ნონა ღლონტი, მაია თოთიბაძე თანაუგრძნობენ ლელა დვალიშვილს და მის ოჯახს კეთილშობილი ქალბატონის, პედიატრ **ნატო ქართველიშვილის** გარდაცვალების გამო.

იყიდება

სასწრაფოდ იყიდება მეორადი ხის მასალა ხელსაყრელ ფასებში (სიგრძე 6 მ. სისქე, 5 სმ) დაგვიკავშირდით (558) 499 101

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru